N 01/3727
14/08/2020

3727-01-2-202008141113

შპს „ვიტას“ დირექტორს ციალა ხარატიშვილს
მის: ქ.თბილისი, მუხიანი, II მ/რ, კორპ 10, ბინ N7
ტელ: 579513737

ქალბატონო ციალა,

2020 წლის 05 აგვისტოს განცხადების (კომპანიაში რეგისტრაციის N6321/01) პასუხად გაცნობებთ, რომ, როგორც უკვე არაერთხელ განგემარტათ, თქვენ მიერ მითითებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.12.02.001.073 გადის შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიწისქვეშა კომუნიკაციები. კერძოდ: მეტროსადგურ „სარაჯიშვილის“ ზედა ვესტიბიული სამომსახურეო ოთახებით, ესკალატორების დახრილი გვირაბი, ესკალატორების სადემონტაჟო და სავენტილაციო შახტა, გადასარბენი გვირაბები, კომპანიის კუთვნილი წყალმომარაგების მილგაყვანილობა და ორი წყალამქცევი 200 მმ-იანი მილი. ასევე გაიცა მითითებაც, რომლის თანახმადაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტთან აუცილებლად უნდა მიდიოდეს საავტომობილო გზა, ხოლო სადემონტაჟო შახტის თავზე და მის გარშემო ესკალატორების შეკეთებისას საჭიროა მინიმალური სამუშაო ფართი 10X10მ, ასევე საჭიროების შემთხვევაში ამწე მოწყობილობისათვის საჭირო სივრცე. ამასთან, გეცნობათ, რომ მეტროსადგურის ზედა ვესტიბიული აშენებულია ღია წესით და არაა გათვლილი მომეტებულ დატვირთვებზე.

რაც შეეხება მშენებლობასთან დაკავშირებით კომპანიის პოზიციას, ტერიტორიის ნებისმიერი სახის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით უნდა წარმოადგინოთ შეფასება ზემოქმედების შესახებ, კერძოდ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, მასზედ, რომ თქვენ მიერ დაპროექტებული შენობა/ნაგებობა უარყოფით გავლენას არ მოახდენს შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ კუთვნილ კომუნიკაციებზე.

რაც შეეხება საბაგირო გზასთან დაკავშირებულ შეზღუდვას, საბოლოო პერსპექტიული საბაგირო ხაზები უკვე დადგენილია და თქვენ მიერ მითითებულ მიწის ნაკვეთზე განსახორციელებელი მშენებლობა საბაგირო გზისთვის არ წარმოადგენს კონსტრუქციულ, ტექნიკურ, ქალაქგეგმარებით და ფუნქციურ დაბრკოლებას.

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი

გენერალური დირექტორი